



საქმე №18/666-16

**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
საქართველოს სახელით

28 აპრილი, 2017 წელი

ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
პალატის მოსამართლე გერონტი კახეთელიძემ**

**ნანა უნდილაშვილის მდივნობით,**

**სახელმწიფო ბრალმძებლის:** ირაკლი ცირეკიძის  
**მსჯავრდებულის:** **ზ. ჩ.-ს**  
**ადვოკატის:** **მ. ბ.-ს**

**მონაწილეობით,**

ღია სასამართლო სხდომაზე, მსჯავრდებულ **ზ. ჩ.-ს** სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამომძიების №XXXXXXXXXXXX) **ზ. ჩ.-ს**, დაბადებულის 1968 წლის 10 სექტემბერს, საქართველოს მოქალაქის (პ/ნ №XXXXXXXXXXXX), ნასამართლობის არმქონის, უმალესი განათლებით, ქვრივის, რეგისტრირებულის: **დ.-ს რ., ს. ზ. ქ., მე-X ქ. №X-ში**, ფაქტობრივად მცხოვრების: **ქ. თ.-ში, გ.-ს დ., ი.-ს ქ. №X-ში**, მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლით;

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განაჩენით **ზ. ჩ.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 130 (ას ოცდაათი) საათის ვადით.

**ზ. ჩ.-ს** მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, გაუქმდა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განაჩენით **ზ. ჩ.-ს** მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება. აღნიშნული ქმედება გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, **დ.-ს რ.-ს ს. ზ. ქ.-ში** რეგისტრირებულ **ზ. ჩ.-ს**

არასრულწლოვანი შვილის - ი.-ვ. ჩ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რის საფუძველზეც იმავე დღეს გაიცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, ზ. ჩ.-მა, ნამდვილი შემოსავლის დაფარვის გზით, ჯიუტად თავი აარიდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდას.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. ჩ.-მა, რომელმაც წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ საფუძველით, რომ მას ჯიუტად თავი არ აურიდებია სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის. კონკრეტულად, 2015 წლის დეკემბერში მან მხოლოდ ერთხელ არ გადაიხადა დაკისრებული ალიმენტი (ხელფასი აიღო ხელზე) იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ აღებული ხელფასით გადაიხადა ბანკის ვალი, რომელიც მშენებარე სახლის სწრაფად დასამთავრებლად ჰქონდა გამოტანილი (მისი ყოველთვიური საბანკო დავალიანება შეადგენს 655 ლარს).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, საქართველოს სსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი, გაეცნო მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა და შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ზ. ჩ.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მის მიმართ გამოტანილი სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და ზ. ჩ. გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებულ მსჯავრდებაში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“. ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. აგრეთვე, ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. 269-ე

მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი“.

როგორც უკვე აღინიშნა, ზ. ჩ.-ს სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განაჩენით მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება. ბრალდების იგივე ფორმულირებით შევიდა მოცემული სისხლის სამართლის საქმე განსახილველად სიღნაღის რაიონულ სასამართლოში. (იხ. დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ს. ფ. XXX-XXX).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო კონსტრუქციაში გვხვდება დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც ვალდებულებით დაფუძნებულ დელიქტებს წარმოადგენენ. აღნიშნულ შემთხვევებში პირს კანონისმიერი ვალდებულებით, სასამართლო ან სხვა მაკონტროლებელი ორგანოს გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, რასაც ეს პირი არ ასრულებს (საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლი - გადასახადისათვის თავის არიდება, 358-ე მუხლი - მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება, 380-ე მუხლი - თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება, 381<sup>1</sup>-ე დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა, 390-ე მუხლი - სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით და სხვ.). იმავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ორი დანაშაულის შემადგენლობა, რომლებიც არსებითად იგივე, ვალდებულებით დაფუძნებულ დელიქტებს წარმოადგენს, თუმცა მათ დისპოზიციაში კანონმდებელი მოქმედების შეუსრულებლობის აღმატებულ ხარისხად სიტყვას „ჯიუტად“ მიუთითებს. (საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლი - სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება, 274-ე მუხლი - ნარკომანის მიერ სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობისათვის ჯიუტად თავის არიდება). შესაბამისად, იმისათვის, რათა პირმა პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მან ჯიუტად უნდა აარიდოს თავი სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე არ გვექნება საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება. „ჯიუტობა“ არ წარმოადგენს იურიდიულ კატეგორიას და მისი დეფინიცია სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს. იმის დასადგენად, არის თუ არა ალიმენტის გადაუხდელობა ჯიუტი, უნდა გადაწყდეს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის ხანგრძლივობის, მიზეზების და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ჯიუტად გადაუხდელობას ცალსახად მოწმობს ანალოგიური დანაშაულის განმეორება, ალიმენტის სისტემატური გადაუხდელობა, პირის მიერ, მოთხოვნის შემთხვევაში, თავისი ნამდვილი შემოსავლის დაფარვა ან აღნიშნულის თაობაზე ფიქციური დოკუმენტების წარდგენა, პირზე ძეხვის გამოცხადება ალიმენტის გადაუხდელობის გამო, პირის მიერ თავისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლა, რათა თავიდან აიცილოს სააღსრულებო ფურცლით სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდა.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე შეკრებილი, მხარეთა მიერ პრეიუდიციულად მიჩნეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით **ზ. ჩ.-ს** არასრულწლოვანი შვილის - **ი.ვ. ჩ.-ს** სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რის საფუძველზეც იმავე დღეს გაიცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ და გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნულის თაობაზე 2015 წლის 9 დეკემბერს, შპს „ს.-ს ფ.-ს“ მეშვეობით, თბილისის სააღსრულებო ბიუროდან მოვალე **ზ. ჩ.-ს** გაეგზავნა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომელიც 2015 წლის 18 დეკემბერს, **დ.-ს რ.-ს ს. ზ. ქ.-ში** ჩაბარდა **ზ. ჩ.-ს** რძალს **ნ. ბ.-ს**, რომელმაც თავის მხრივ ზემოხსენებული გზავნილი ჩაბარებიდან მე-2-მე-3 დღეს გაუგზავნა **ქ. თ.-ში** თავის მამულს - **ზ. ჩ.-ს**. იმავდროულად, 2015 წლის 22 დეკემბერს და 2016 წლის 6 იანვარს, აღმასრულებლის მიერ ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა მიმართვა შპს „ჯ. მ.-ს“, სადაც იმ დროისათვის მუშაობდა **ზ. ჩ.**, მოთხოვნით, მოვალე **ზ. ჩ.-სათვის** შემოსავლიდან ყოველთვიურად დაეკავებინათ ალიმენტით დაკისრებული შესაბამისი თანხები. **ზ. ჩ.-სათვის** ცნობილი იყო რა, რომ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკისრებული ჰქონდა ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რის გამოც ბანკში მის სახელფასო ანგარიშს ედო ყადაღა, 2015 წლის 25 დეკემბერს, **ზ. ჩ.-მა** სთხოვა თავისი სამსახურის დირექტორ **დ. ჯ.-ს**, მისთვის წინასწარ მიეცათ ხელფასი ხელზე, რის შემდეგაც 2015 წლის დეკემბრის ხელფასი აიღო ხელზე, საიდანაც 500 ლარი არ გადაიხდა ალიმენტის სახით. მანამდე, 2015 წლის 23 დეკემბერს, **ზ. ჩ.-მა** სასამართლოში გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ სასამართლო შეცდომაში იყო შეყვანილი მისი შემოსავლების შესახებ, რის გამოც ალიმენტის თანხის ოდენობა დააკისრა არასწორად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მიუთითებს, რომ საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს იმ ბრალდების ფორმულირების ფარგლებში, რაც სახელმწიფო ბრალმდებელმა გამოძიების ეტაპზე დადგენილად მიიჩნია, ხოლო სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, **ზ. ჩ.-მა** ნამდვილი შემოსავლის დაფარვის გზით ჯიუტად აარიდა თავი სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდას. სააპელაციო პალატისათვის გაუგებარია, ვის და როგორ დაუმალა **ზ. ჩ.-მა** თავისი ნამდვილი შემოსავალი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას უდავოდ დადგენილად და დადასტურებულად მიაჩნია, რომ **ზ. ჩ.-მა**, რომელმაც იცოდა, რომ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თავისი შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა ალიმენტის გადახდა, 2015 წლის დეკემბერში, სამსახურში კუთვნილი ხელფასი აიღო ხელზე, რის შემდეგაც თავი აარიდა ალიმენტის გადახდას, თუმცა სააპელაციო პალატა **ზ. ჩ.-ს** აღნიშნულ ქმედებას ვერ ჩათვლის ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდებად იმ გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ **ზ. ჩ.-ს** მხრიდან ალიმენტის სისტემატურ, დროში გახანგრძლივებულ გადაუხდელობას ადგილი არ ჰქონია, მას ალიმენტის გადაუხდელობის მიზეზით არ დაუტოვებია თავისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, თავისი ნამდვილი შემოსავლების დაფარვის მიზნით არ წარუდგენია გაყალბებული დოკუმენტები და სხვ. აქვე სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს **ზ. ჩ.-ს** მხრიდან ალიმენტის გადაუხდელობის მიზეზზე. საქმეზე შეკრებილი უდავო მტკიცებულებებით დადგენილია: როგორც მოწმის და ბრალდებულის სახით დაკითხულმა **ზ. ჩ.-მა** განაცხადა,

იგი უარს არ ამბობს თავისი შვილისათვის ალიმენტის გადახდაზე, თუმცა არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ალიმენტის თანხის ოდენობას. მისი ყოველთვიური შემოსავალი სამსახურში შეადგენს დაახლოებით ათას ლარს, საიდანაც იხდის აღებული საბანკო კრედიტების თანხას, რაც შეადგენს 600 ლარზე მეტს. აღნიშნული დადასტურებულია საქმეში არსებული საბანკო-საბუღალტრო დოკუმენტაციით. ასევე დადგენილი და დადასტურებულია, რომ 2015 წლის 23 დეკემბერს **ზ. ჩ.-ს** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეტანილი აქვს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომელიც მიღებულია განსახილველად. მხედველობაში მისაღება ის გარემოებაც, რომ, როგორც სააპელაციო პალატის სხდომაზე **ზ. ჩ.-მა** განაცხადა, 2016 წლის 16 თებერვალს გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება, ხოლო მანამდე, სანამ გაუქმდებოდა აღნიშნული გადაწყვეტილება, მას გადახდილი აქვს ალიმენტის თანხა 550 ლარი. ამჟამად მისი შვილი სრულწლოვანია, მაგრამ იხდის ალიმენტის დავალიანების თანხას, რომელიც 4 თვის განმავლობაში შეადგენდა 200 ლარს, შემდეგ ყოველთვიურად კი - 150 ლარს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეაფასა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი და გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ აღნიშნული კვალიფიკაციით **ზ. ჩ.-ს** მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, დამაჯერებელ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც მიუთითებენ მსჯავრდებულ **ზ. ჩ.-ს** მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდებაზე. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ექვს მიღმა, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მოცემულ საქმეში კი არ არსებობს ასეთი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ **ზ. ჩ.-მა** ჩაიდინა ბრალად შერაცხული დანაშაული, რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ **ზ. ჩ.-ს** ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს და იგი უნდა გამართლდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ **ზ. ჩ.-ს** მიმართ არსებული, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს, **ზ. ჩ.** ცნობილი უნდა იქნას უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდეს.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, –

## და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ **ზ. ჩ.-ს** სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი **ზ. ჩ.-ს** მიმართ და მის ნაცვლად დადგეს გამამართლებელი განაჩენი;

**ზ. ჩ.** ცნობილ იქნას უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდეს;

ცნობად იქნას მიღებული, რომ **ზ. ჩ.-ს** მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – შეთანხმება გაუსვლელობის და სათანადო ქცევის შესახებ, გაუქმებულია;

გამართლებულ **ზ. ჩ.-ს** განემართოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა), მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

გ. კახეთელიძე